

მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომის

ოქმი №5

ქ. მარტვილი

1 ივნისი, 2018 წელი

სხდომა დაიწყო 12⁰⁰ სთ-ზე, დამთავრდა 14⁰⁰ სთ-ზე.

სხდომას ესწრებოდნენ:

1. ალექსი გაბისონია-მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე;
2. ალექსანდრე ახვლედიანი-მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;
3. რამაზ ხურცილავა - მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;
4. ზურაბ მელიავა - მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;
5. გიორგი გაბუნია - მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;
6. ლაშა ქობალია – მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოფლის მეურნეობის განვითარებისა და ადგილობრივი მნიშვნელობის რესურსების გამოყენებისა და მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;
7. ლევან სურმავა - ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე;
8. ბორის მიქავა – ფრაქცია „საქართველოს ქრისტიან-კონსერვატორების“ თავმჯდომარე;
9. ელდარ თოდუა – ფრაქცია „პატრიოტთა ალიანსის“ თავმჯდომარე;
10. რომან ფონიავა – ფრაქცია „ქართული ოცნება-მრეწველების“ თავმჯდომარე;
11. ირაკლი ჯამბურია – ფრაქცია „მომრაობა თავისუფლებისთვის-თავისუფლება“ თავმჯდომარე.
12. გიორგი რუხაია– ფრაქცია „ევროპული საქართველოს“ თავმჯდომარე.

სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე ალექსი გაბისონია

დღის წესრიგი:

1. მარტვილის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის შესრულების პირველი კვარტლის ანგარიშის მოსმენა და შეფასება.
/მომხსენებელი-ალექსი გაბისონია, საკრებულოს თავმჯდომარე/

მოისმინეს:1 საკრებულოს თავმჯდომარის ალექსი გაბისონიას მოხსენება მარტვილის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის შესრულების პირველი კვარტლის ანგარიშის მოსმენა და შეფასების შესახებ. მან აღნიშნა, რომ ა/წლის 30 აპრილს წერილით შემოვიდა

მარტვილის მუნიციპალიტეტის მერი, მარტვილის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის შესრულების პირველი კვარტლის მიმოხილვასთან დაკავშირებით, რომელიც დარიგებული იქნა კომისიებში და ფრაქციებში განსახილველად.

აზრი გამოთქვას: ზურაბ მელიავამ, ირაკლი ჯამბურამ.

ზურაბ მელიავამ აღნიშნა, რომ კომისია რომელსაც ის თავმჯდომარეობს შეისწავლა აღნიშნული საკითხი და წარმოადგინა შესაბამის დასკვნაც. ხოლო ირაკლი ჯამბურამ აღნიშნა, რომ სასურველია საკრებულოს სხდომაზე აღნიშნული საკითხის განხილვას ესწრებოდეს მარტვილის მუნიციპალიტეტის მერი ალექსანდრე გრიგალავა.

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნული საკითხი დასვა კენჭისყრაზე, რომელიც დამსწრე ბიუროს წევრებმა მიიღო ერთხმად.

მომხრე–11

თავი შეიკავა –1

ბიურომ გადაწყვიტა:

მარტვილის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის შესრულების პირველი კვარტლის ანგარიშის მოსმენა და შეფასების შესახებ საკითხი შეტანილ იქნას საკრებულოს მორიგე ი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი ამოიწურა და ბიუროს სხდომა დახურულად გამოცხადდა.

საკრებულოს თავმჯდომარე:

ალექსი გაბისონია